ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2386266

ნომერი: AR1369889

თარიღი : 11.01.2016

გაცემის თარიღი : 18.01.2016

გაცნობის თარიღი : 18.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კ. ჩაჩავა , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით მახარობლიშვილი პ/ნ 01008005148
- თბილისი ვ.ბარნოვის ქ. N 184 ბ. 8

ორგანიზაცია:
- შპს"დმ სტუდია" კოდი: 404862038

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის 2(ორი) ცალი დროებითი დანადგარის–გენერატორის(235კვ. და 640კვ.) დამონტაჟების დროებითი დანადგარის დამონტაჟების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში,სექტორი– დიდუბე, კ ჩაჩავას ქუჩა №5–ში,სააქციო საზოგადოება „ კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. 007/022) –ში, საოპერაციოებისა და რეანიმაციის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის უწყვეტი ელექტრო ენერგიის მიღების მიზნით I კლასის 2(ორი) ცალი დროებითი დანადგარის–გენერატორის(235კვ. და 640კვ.) დამონტაჟებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მოქ. დავით მახარობლიშვილის განცხადება, მინდობილობა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882015753351 საკადასტრო კოდი N 01.13.02.007.022, სიტუაციური გენ–გეგმა, არსებული ფოტო და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში,სექტორი– დიდუბე, კ ჩაჩავას ქუჩა №5–ში,სააქციო საზოგადოება „ კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. 007/022) –ში, საოპერაციოებისა და რეანიმაციის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის უწყვეტი ელექტრო ენერგიის მიღების მიზნით I კლასის 2(ორი) ცალი დროებითი დანადგარის–გენერატორის(235კვ. და 640კვ.) დამონტაჟების განხორციელების შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge